ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3821936

ნომერი: AR1562548

თარიღი : 25.01.2018

გაცემის თარიღი : 14.02.2018

გაცნობის თარიღი : 14.02.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რობაქიძის გამზ. N7გ-ს მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , მასივი დიღომი , კვარტალი I , N14ა კორპუსის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა რობაქიძე , N 7გ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ხურციძე პ/ნ 60001056814
- თბილისი გრ.რობაქიძის გამზ. N 7 კორ. 5 ბ. 23

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- საცხოვრებელი ობიექტები
  - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და

განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 25 იანვრის NAR1562548 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ #01.13.04.004.032 მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი და მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს შიდაკვარტალურ სივრცეს და გადატვირთულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებით. აღნიშნულ არეალში დამატებით ახალი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის/სახლების განთავსება სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად არ მიაჩნია, რადგან საპროექტო მიწის ნაკვეთზე მისი განთავსებით მოხდება მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე განთავსებული საცხოვრებელი კორპუსების ხედვის არეალის დაფარვა და ასევე შეიზღუდება და გადაიტვირთება არსებულ არეალში სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახურო მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი 2018 წლის 25 იანვრის NAR1562548 განცხადება,

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.